აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №20

აბაშა, 2024 წლის 12 დეკემბერი

ოქმი №20
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომისა

აბაშა, 2024 წლის 12 დეკემბერი

სხდომას ესწრებოდნენ: გელა ხოშტარია, ნანა შენგელია, კონსტანტინე კუჭუხიძე, როინი კაჭარავა, დარეჯან ვადაჭკორია, პროკოფი ნიკურაძე, ზეზვა მაკალათია, ტატიანა ხოშტარია, დავით ცანავა, დიმიტრი ვერულაშვილი, დავით გუნია, ბაქარ შელია, ზაზა ალასანია, მურთაზ ჯალაღონია, იაგო თოდუა, გია კუცია, გია მიგინეიშვილი, შოთა ჭანტურაია, გენო მიმინოშვილი, კოკი ჩაჩავა და მიხეილ დარცმელიძე.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დ. ცანავა, ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსი ი. კიზირია, შიდა აუდიტის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების უფროსი ქ. ნაჭყეპია.

საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი გ. ხურცილავა, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის – საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე თ. შოთაძე და საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 დეკემბრის მორიგი №20 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. გ. ხოშტარია

2. აბაშის მუნიციპალიტეტში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ.

   მომხს. ი. კიზირია

3. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

   მომხს. დ. ცანავა

4. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ქ. ნაჭყეპია

საკრებულოს თავმჯდომარე გ. ხოშტარიამ სხდომაზე დამსწრეთ განუმარტა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, რომ მიმდინარეობს სხდომის ფოტოგადაღება, ფოტოსურათები გამოქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე, რაც ეხება სხდომაზე დამსწრე არათანამდებობის პირებს. აღნიშნულთან დაკავშირებით სხდომაზე დამსწრე პირებს წინააღმდეგობა არ გამოუთქვამთ.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 დეკემბრის მორიგი №20 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ. ხოშტარია

საკრებულოს თავმჯდომარე გ. ხოშტარიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 დეკემბრის მორიგი №20 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 დეკემბრის მორიგი №20 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 21 - მა წევრმა.

წინააღმდეგი 0.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება №78 (თან ერთვის)

2

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ.

მომხს. ი. კიზირია

მომხსენებელმა ი. კიზირიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ განკარგულების პროექტი.

მომხსენებელს კითხვით მიმართეს დეპუტატებმა: გ. ხოშტარიამ, პ. ნიკურაძემ, მ. ჯალაღონიამ.

საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე გ. კუციამ წაიკითხა განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 21-მა წევრმა.

წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო
განკარგულება №79 (თან ერთვის)

3

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ტ. ხოშტარიამ წაიკითხა განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 21-მა წევრმა.

წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება №80 (თან ერთვის)

4

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ქ. ნაჭყეპია

მომხსენებელმა ქ. ნაჭყეპიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ტ. ხოშტარიამ წაიკითხა განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 21-მა წევრმა.

წინააღმდეგი: 0

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება №81 (თან ერთვის)

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: ტ. ხოშტარია